

ხელოვნება

4

მოსწავლის წიგნი



გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ნანა იოსელიანი ◆ სოფიო ქებურია


გაკურსულაკაურის
ბამომცემლობა



I საზი, ფერი, ფორმა

ფერთა თეორია	4
გოეთეს სამკუთხედი	6
მუქი და ღია	8
პასტელური ფერები	10
მწვანე	12
ჰაეროვანი პერსპექტივა	14
დიურერის მარტორქა	16
მელანქოლია	18
კით ჰარინგი	20
კუბიზმი	22
მატყუარა ხაზები	24

II ჟანრები

ანარეკლი	28
კაკაბაძის იმერეთი	30
ანაბეჭდი	32
ტარიელის პორტრეტი	34
ყაჯარული პორტრეტები	36
მოდელიანი	38
ბრეიგელის თამაშები	40
დამიმტკიცე!	42
მამალი	44
ანიმალისტური ჟანრი	46
მითიური ცხოველები	48

III მსჯელობა

ერთი შედეგის ისტორია	52
ვან გოგის ასლი	54
შობა	56
ჯგუფური პორტრეტი	58
საპარადო პორტრეტი	60
ოჯახური მყუდროება	62
დიზაინი	64

IV ჯანდაცვა

კვიპროსული კერპები	66
ეგვიპტური იეროგლიფები	68
„მოლაპარაკე პალიტრა“	70
გაიცანით კუ!	72

V არქიტექტურა


პირამიდები	74
სფინქსი	76
ბერძნული ორდერი	78
ციხესიმაგრე	80
გაუდი	82
ქალაქობანა	84
ლენდ არტი	86

VI ტექნიკები

აფრიკული ნიღბები	88
ჯადოსნური ხალიჩა	90
თეჯა	92
საკურა	94
მრავალწერტილი	96
გრატაჟი	98
პალეონტოლოგობანა	100
რესტავრაცია	102
აბსტრაქცია ჟან არპის სტილში	104

VII უმაჯამებელი ბაკვეთილები

კამათელი	106
----------------	-----



არისტოტელე, ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი, თეთრს, ყვითელს, წითელსა და შავს ჰაერის, ცეცხლის, წყლისა და მიწის სიმბოლოებად მიიჩნევდა. ცისარტყელას ფერებიდან კი ძირითად ფერებად წითელს, მწვანეს და იისფერს ასახელებდა.



იტალიელ მხატვარსა და გამომგონებელს, **ლეონარდო და ვინჩის**, მიაჩნდა, რომ არსებობს ექვსი ძირითადი ფერი: წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, თეთრი და შავი.




ინგლისელი მეცნიერი **ისააკ ნიუტონი** ფერების თვისებებს იკვლევდა. ერთხელ, მან ასეთი ცდა ჩაატარა: შუშის სამკუთხა პრიზმას სინათლის სხივი მიანათა. სხივი გამჭვირვალე პრიზმაში ცისარტყელას 7 ფერად დაიშალა და კედელზე წითელ, ნარინჯისფერ, ყვითელ, მწვანე, ცისფერ, ლურჯ და იისფერ ზოლებად აირეკლა. ნიუტონის ფერების ბორბალზე ცისარტყელას შვიდი ფერის **გრადაცია** – მათი ერთმანეთში თანდათანობით გადასვლა ნაჩვენებია.



იოჰან გოეთემ, გერმანელმა მწერალმა, შენიშნა, რომ მწვანე ფერი ლურჯისა და ყვითლის შეზავებით, იისფერი – წითლისა და ლურჯის, ნარინჯისფერი კი წითლის და ყვითლის შეზავებით მიიღება.

გოეთემ მწვანე, იისფერი და ნარინჯისფერი ფერების ბორბალზე მათ შემადგენელ ფერებს შორის მოათავსა.





ითვლება, რომ ამ ოთხი მეცნიერიდან ნიუტონმა ყველაზე ზუსტად ასახა ფერების თანმიმდევრობა და რაოდენობა.

ცისარტყელას ფერების მეშვეობით ფერთა უთვალავი ნაირსახეობის მიღება შეიძლება. ცისარტყელას ფერების თანმიმდევრობის დამახსოვრებაში კი ასეთი წინადადება დაგეხმარება:



წინათ ნიუტონი ყველა მნიშვნელოვან ცდას ლინზით იკვლევდა.


(წ – წითელი, ნ – ნარინჯისფერი, ყ – ყვითელი, მ – მწვანე, ც – ცისფერი, ლ – ლურჯი, ი – იისფერი.)

სახელოსნო

მეგობრებთან შეთანხმებით ამოარჩიე და გადაიხატე ნიმუშებიდან ფერების ერთ-ერთი ბორბალი. შენი და მეგობრების მიერ დახატული ფერების სხვადასხვა ბორბლით დაამზადეთ სანიმუშო თემატური პლაკატი კლასში გასაკრავად. პლაკატები შეიძლება გაიკრას უმცროსკლასელების საკლასო ოთახებშიც, რათა მათაც ჰქონდეთ ძირითადი და შედგენილი, საპირისპირო, ცივი და თბილი ფერების ნიმუშები.



პლაკატის ნიმუში



ლექსიკონი

გრადაცია – ფერების თანდათანობითი გადასვლა ერთმანეთში.

სისტემა – მოწესრიგებული წყობა.

პრიზმა – პირამიდის მსგავსი მოცულობითი გეომეტრიული ფიგურა.



მე-18 საუკუნის პოეტი, მოაზროვნე და მკვლევარი იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე მხიარული, ცნობისმოყვარე ადამიანი იყო. უყვარდა ხუმრობა, ნადირობა და დროსტარება, ამავე დროს, ზრუნავდა მუზეუმებსა და არქიტექტურულ ძეგლებზე, დგამდა ნარმოდგენებს, განაგებდა გზების მშენებლობას, სახელმწიფო შემოსავლებს და სხვა სერიოზულ საქმეებს. ყოველივე ამის გარდა, სწავლობდა გეოლოგიას, ბოტანიკას, ანატომიას, ატარებდა


კვლევებს და წერდა სამეცნიერო ნაშრომებს.

დაკვირვებებისა და ცდების შედეგად გოეთემ შეიმუშავა ფერთა თვისებების თეორია. მას მიაჩნდა, რომ ფერები ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ერთმანეთთან ურთიერთობენ, მეგობრობენ, ერთიდან მეორეში გადადიან. თუკი სხვა მკვლევარები ფერებს წრეზე ალაგებდნენ, გოეთემ ისინი სამკუთხედში ჩასვა და აი, რა მიიღო:

სამკუთხედის კუთხეებში ძირითადი ფერები – წითელი, ლურჯი და ყვითელია განთავსებული. გვერდებზე, მათი შეზავებით მიღებული მეორადი, შედგენილი ფერები: იისფერი, ნარინჯისფერი და მწვანე. დარჩენილი ცარიელი უჯრები კი სამი მეზობელი ფერის ერთმანეთთან ნაზავმა, მოყავისფრო-მონაცრისფრო, მონათესავე ფერებმა დაიკავა.




თუკი ფერების სხვა სისტემებში დაუმსახურებლად დაჩაგრეს და ადგილი არ მიუჩინეს ყავისფერსა და ნაცრისფერს, გოეთეს სამკუთხედში ისინი მშვენივრად მოკალათდნენ სამკუთხედის შუაგულში.




სახელოსნო

როგორ გამოვჭრათ ტოლგვერდა სამკუთხედი:


1. კვადრატული ფურცელი გადაკეცე შუაზე, გაშალე და დადე ნაკეცით ჰორიზონტალურად.
2. მოკეცე ფურცლის მარცხენა გვერდი ისე, რომ ქვედა კუთხიდან მოკეცილი გვერდის წვერო ნაკეცს დაემთხვეს.
3. გაშალე ფურცელი.
4. მეორე მხრიდან მოკეცე ფურცელი ისე, რომ მარჯვენა კუთხის წვერო ნაკეცის ხაზს დაემთხვეს.
5. გაშალე ფურცელი და მიღებული ნაკეცების გასწვრივ გამოჭერი სამკუთხედი. სამკუთხედის ყველა გვერდი ტოლი იქნება.




6. სამკუთხედის ნებისმიერი ერთი გვერდი თვალთ ან სახაზავით გაყავი სამ ტოლ ნაწილად და ამ წერტილებიდან მოპირდაპირე გვერდისკენ გაავლე ჰორიზონტალური ხაზები.
7. შემოატრიალე ფურცელი და გაიმეორე მოქმედება სხვა გვერდის მიმართულებით.
8. შეაერთე პირველ და მეორე ჯერზე გავლებული ხაზები. შენი სამკუთხედი ცხრა პატარა სამკუთხედად დაიყო. დააკვირდი ფერების განტოლებებს, გამოიცანი, რა ფერის უნა იყოს ცარიელ წრეებში? გააფერადე პატარა სამკუთხედები გოეთეს ფერთა სისტემის მიხედვით.





$$\begin{aligned} \text{Red} + \text{Blue} &= ? \\ \text{Blue} + \text{Yellow} &= ? \\ \text{Yellow} + \text{Red} &= ? \\ \text{Red} + \text{Purple} + \text{Orange} &= ? \\ \text{Blue} + \text{Green} + \text{Purple} &= ? \\ \text{Yellow} + \text{Orange} + \text{Green} &= ? \end{aligned}$$



დააკვირდი რუხ კვადრატებს – რომელია უფრო მუქი?



რომელი კვადრატია უფრო დიდი, თეთრი თუ შავი?





რუხი კვადრატებიდან რომელია უფრო ღია? თუ ფონს ფურცლით დაფარავ, აღმოაჩენ, რომ სამივე პატარა კვადრატი ერთი ფერისაა.



შავ ფონზე თეთრი ზოლები უფრო ნათელი ჩანს, ღიაზე კი შედარებით მკრთალი? სინამდვილეში, ყველა თეთრი ზოლი ერთნაირია.



მუქ ფონზე რუხი წრე უფრო დიდი და ნათელი ჩანს, ვიდრე იმავე ფერის რუხი წრე ღია ფონზე. წრე ხუთივე უჯრაში ერთი ფერისაა.



ამ სურათზე სულ ორი ფერის კვადრატებია გამოყენებული – მწვანე და ვარდისფერი. ღია ვარდისფერ ფონზე ვარდისფერმა კვადრატებმა რუხი ელფერი მიიღეს. ღია მწვანე ფონზე კი შედარებით მუქ მწვანე კვადრატებს რუხი ელფერი დაედო.



ფრანსისკო სურბარანი



პოლ სეზანი




დააკვირდი და შეადარე ერთმანეთს პოლ სეზანისა და ფრანსისკო სურბარანის ნატურმორტები. რა არის მთავარი სურათებზე?

რომელ ნატურმორტზეა ყვითელი უფრო ჟღერადი და რატომ?

რა ხერხი იხმარა პოლ სეზანმა ვაშლების ფონისგან გამოსაყოფად?

საშინაო დავალება

ჩაატარე ცდა – კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში სხვადასხვა ფერისა და სიმუქის ფონზე დაალაგე ერთფერი კვადრატები და დააკვირდი, როგორ იცვლება მათი ელფერი და სიმუქე იმის მიხედვით, თუ რა ფერისა და სიმუქის ფონზე არიან მოთავსებული.




კლოდ მონე



ჯორჯო მორანდი

ფერების ნაზ, ჰაეროვან ტონალობებს **პასტელური ფერები** ეწოდება. პასტელური ფერები აკვარელის ნყლით გაზავებული გამჭვირვალე ფერებისგან განსხვავდება იმით, რომ:

1. ეს ფერები არ არის გამჭვირვალე;
2. პასტელური ფერები საღებავში დიდი რაოდენობით თეთრი ფერის დამატებით მიიღება. მაგალითად, ლურჯ საღებავში თეთრის დამატებით ცისფერს ვღებულობთ. თუ ამ ცისფერს კიდევ დავუმატებთ თეთრ საღებავს, მივიღებთ ძალიან ღია, პასტელურ ცისფერს.





ედგარ დეგა, „მოცეკვავეები სარეპეტიციო დარბაზში“



დააკვირდი სურათებს და აღწერე ყოველი მათგანის ფერთა გამა.

სახელოსნო

- ▶ გუაშის საღებავები
- ▶ პალიტრა
- ▶ ფუნჯი
- ▶ ნყალი



შეაზავე ფერადი საღებავები თეთრ საღებავთან, მოამზადე პასტელური ფერები. დაფიქრდი, რა შინაარსის ნახატს მოუხდება ასეთი ფერები და შექმენი ნამუშევარი შენი ფანტაზიით.

